



ქრონიკალიზაციის მკურნალობის გზით - ქრონიკული თანდათანობითი  
ქრონიკული თანდათანობითი გზით - ქრონიკული თანდათანობითი

ქრონიკული  
თანდათანობითი  
გზით - ქრონიკული  
თანდათანობითი

# საქართველო

საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი  
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№71 (1509) 26-30 დეკემბერი, 1996 წელი

## 19 მნარე უპირობო და ნუბნარ ფოფხაძის პასუხები

ნუბნარ ფოფხაძე: ამთავითვე ვპირდაბნი  
გაზეთს და მის მკითხველს, რომ  
ვისაუბრებ მხოლოდ იმაზე, რას ქარბად  
ვისი, რაშიც ეჭვი არ მქარბება, რისი  
მონებაც და მონაწილაც ვყოფილვარ


მეორე გვერდი



## რამდენიმე გასროლა კოდაში

ანუ როგორ მოკლეს  
ჯუმაბერ პატიაშვილის  
მამა ილია პატიაშვილი

მესამე-მეოთხე გვერდი



თენგიზ  
კიტოვანი:

მე  
მომიწავს  
გათი  
დასახელება...

მესამე გვერდი

## ცდილობენ გაზეთ „საქართველოს“ დახურვას!

რედაქციაში შემდგომებმა წინასაახადწლო  
„საქართველო“ გამოგვოგ ზაგნეს. გვაცნობებენ, რომ 1993  
წელს „გადაუხდელი“ თანხის, ერთ კილო ყველსაც  
რომ ვერ იყიდდა, გამო დაჯარიმებულნი ვართ ისე-  
თი კატასტროფული თანხით, 5000 ლარით, რომლის  
გადახდა, მათ კარგად იცნან, რედაქციას არ შეუ-  
ძლია, ხოლო რატომ და რისთვის დაგვადარიმეს, ეს  
ერთმა ალაჰმა უწყის და მეორე იმ ბრიყვმა ხე-  
ლმძღვანელმა მუშაკმა, რომელსაც პონია, ჩვენც  
ისეთი ბრიყვები ვართ, იმდენს ვერ მივხვდებით, სა-  
გადასახადო ინსპექცია ამ ეგზეკუციას თავის ნებით  
რომ ვერ იკისრებდა...

ძვირფასო ხელმძღვანელო მუშაკო, თქვენს ვი-  
ნაობას, მიუხედავად იმისა, რომ გულდაგულ გმა-  
ლაგენ, უცილობლად დავადგენთ და ვიდრე ჩვენი  
გაზეთის დახურვას მოახერხებთ, თქვენს მექრთამეო-

ბით განვლილ ცხოვრების გზას ხელისგულივით  
გადავუშლით მთელს საქართველოს.

ჩვენ თქვენთან სათხოვარი არაფერი გვაქვს. უახ-  
ლოეს ხანში ვაცნობებთ საზოგადოებას, ვისგან და  
რა ზეწოლის ქვეშაა გაზეთი „საქართველო“. ძვირ-  
ფასო მკითხველო, დახურვამდე რამდენიმე წერ-  
ილს მაინც მოვასწრებთ რუბრიკით „მეჭურჭლე-  
თუხუცესი იაკობა“, რომელმაც საცოლეს კი არა,  
როგორც „დათა თუთაშხიაშია“, მშობლიურ ქვე-  
ანას მოპარა და შემოადარცვა სამოსელი.

აღბათ, თავის მხრივ, „იაკობაც“ სხვის დაკვე-  
თას ასრულებს, მაგრამ ბოროტებას ძირში თუ ვერ  
მოვხებით, ხელებს მაინც დავატრით.

ჯერჯერობით ცოცხალი  
გაზეთი „საქართველოს“ რედაქცია



# თინათინ კიტოვანი: გა მოვიწიებ მათი დასახელებას...

თ.კიტოვანი გადატრიალების მე-5 წლისთავზე

პრესაში გადატრიალების მე-5 წლისთავზე არაერთი პირობების აზრი დაიბეჭდა 22 დეკემბრის მოვლენებთან დაკავშირებით. გასაგები მიზეზების გამო არ დასტამბულა მხოლოდ გადატრიალების "გმირის" თ.კიტოვანის თვალსაზრისი, თუ რას ფიქრობს იგი, ორთავალის ციხეში გამოწვევად, მის მიერვე ჩატარებული მოვლენების შესახებ?

რედაქციამ მოახერხა და სთხოვა თ.კიტოვანს აზრის გამოთქმა. რაკი წერილი ჩვენგანზე იყო შეკეთილი, მისი არდაბეჭდვა ჩვენის მხრივ ადარ ივარგებს. არადა... 22 დეკემბერი უნდა შეფასდეს 19 აგვისტოს მოსკოვის პუტინის გაგრძელებად და ყველაფერი გახდება ნათელი. ჯერჯერობით ცოცხლები არიან ის ადამიანები, რომლებიც ნათელს მოპყებენ 19 აგვისტოს პუტინის გაგრძელებას, თბილისში იმ გენერალიტეტის ჩამოსვლას, თუ რა მიზეზები პონ-დელ მათ განსაზღვრული. ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ არ იცის 19 აგვისტოს მოვლენები საქართველოში და მე მგონია, დროა, რომ მოსახლეობას აუხსნათ ის მოვლენები, რამაც გამოიწვია 22 დეკემბერი საქართველოში. თუ თითონ დაფურეს, იქნება ძალიან კარგი, თორემ მე მომიწევს მათი დასახელება. ისტორიისთვის გასარკვევი იქნება ყველაფერი, მართლაც ვინ იყო ვინ, რატომ მოხდა 22 დეკემბერს საქართველოში ის ტრაგედია, რომელიც დღესაც საიდუმლოებით არის მოკული და ვადა-ვადაც უნდა დადგეს ეს მოვლენები ჩვენ გადმოგვარდნის და მერე ანგელოზის როლში მოვლენის საქართველოს. არა ბატონებო, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი და დამალული საზოგადოებისთვის არაფერი უნდა რის ვინ.

რა როლი შეასრულა 19 აგვისტოდან 22 დეკემბრამდე ყველაფერი უნდა ითქვას. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ციხეში, რომ ვითხოვთ, რომ ძალიან ჩახუტებული ვართ, ეს არ იქნება სწორი, ჩვენ ერთი მოძრაობა გვაერთიანებს - შევარდაძის სინდრომი საქართველოში და მისი გამოყვანილი პოლიტიკის გატარება. ჩვენ აქედან უკეთ ვხედავთ როგორ დამონდა ხალხი, როგორ წაართვა შევარდაძემ წინააღმდეგობის უნარი, როგორ განათხოვრდა მოსახლეობა, როგორ გამდიდრდა შევარდაძე და მისი ამაღა, როგორ უნაშვოდ ძარცვავდნენ დღესაც ისედაც გატყვევებულ მოსახლეობას. მთელი საქართველო გამოთხოვრებულია. შევარდაძე კი გამოდის და ისე ღამაზად ცრობს, თითქოს ყველაფერი რიგზე ჰქონდეს, ვითომ დიდი ძვრებია ეკონომიკაში, ვითომ ხალხი კმაყოფილია მაგისი პოლიტიკით ისე ღამაზად ცრობს, რომ არ ჰყავს პოლიტიკოსები. ალ-აპარატის თავის მონებს - პროკურატურას და ოუტიკის სამინისტროს. ერთი მიკვირს, ყველაფერი ეს რომ მორჩება, შევარდაძე წავა არენიდან. ბოლოს და ბოლოს მართლაც მოუღონ დემოკრატები ბაბი-ლაშვილი, ნინო, თარგამაძე და სხვები რას იტყვიან თავიანთ დანაშაულზე მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ესე გამწარებით რომ ცრუობდნენ, საქართველოში პოლიტიკოსები არა გვაქვს, ან ის პარლამენტი, რომელმაც ვერ გამოთქვა თავისი აზრი პოლიტიკოსებზე. შევარდაძეზე აქ ღამაზა ვიკითხვით, მას საერთოდ ვაწყვეტილი აქვს შუბლის ძარღვი აი, ეს არის ბატონებო, რაც გვაერთიანებს დღეს ჩვენ, მე და ზვიადის ტყვის და სხვების კოლონიებში და ციხეებში.

კატინის ცემით თ. კიტოვანი  
22 დეკემბერი 1996 წელი

# გასდროაში გაკაცებში პრეზიდენტი!

**პრემია ადამიანმა, თუნდაც პრეზიდენტი იყოს იგი, არ შეიძლება სრული კომპეტენცია გაამტაცოს ყოველ დარგში.**  
ბუნებრივია, ბატონ პრეზიდენტს ვერ მოვთხოვთ ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში სპეციალისტის დონეზე იყოს გარკვეული, მაგრამ კანონპროექტი, რომელიც მისი სახელით არის შესული პარლამენტში, უთუოდ სპეციალისტების მომზადებული იქნება. არადა, ამ კანონპროექტში ისეთი კურობები წერია, მათ რომ ბატონი ედუარდი გაეცნობა, არა გვგონია, თავზე ხელი გადაუსვას ამ კანონპროექტის ნამდვილ ავტორებს. წაიკითხეთ ქვემოთწარმოდგენილი წერილი და დაგვეთანხმებით, რომ ადგილი აქვს პრეზიდენტის მოტყუების მცდელობას...

**პანონაროქში**, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, რომელიც მოუხდევდა დეპუტატთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებისა, პარლამენტში მაინც იქნა მიღებული ორი წაიკითხეთ, უპრეცედენტოდ უარყოფითი და მას „წამლის მაფის“ შეკეთის სური ასლის. დღეს ბევრი დაპარაკებენ იმაზე, რომ საქართველოში წამლის ბაზარი დაიჭრა ხელისუფლებასთან დაკავშირებული ჯგუფმა. თუკი მათი გავლენა ძირითადად ვრცელდებოდა სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების წამლებით მომარაგებაზე, ანუ სახელმწიფო თანხებით წამლების შეძენა ძირითადად მათი არხებით წარმოებდა, როგორც ჩანს, ისინი თანდათანობით იკიდებდნენ ფეხს წამლებით მოსახლეობის არასახელმწიფო, კომერციული გზით უზარუნველყოფის სფეროშიც. ეკონომიკის ეს სექტორი, მოუხდევდა იმისა, რომ გამოირჩევა დიდი კონკურენტით, მაინც ვერ ამარაგებს მოსახლეობას იაფი წამლებით. ამის მიზეზი ის არის, რომ კონკურენცია ძირითადად არის საცალო ვაჭრობაში, მომარაგების ქსელი კი ძველებურად მონოპოლიზებულია და პროტექციონისტური ლიცენზირების ამქადად არსებული მექანიზმების წყალობით გარეშე სტრუქტურები ცხვირსაც ვერ ჩაჭრდნენ ამ სფეროში.

# წამლის მაფია პარლამენტში შეაღწეა

ორგანო, ნაცვლად ნეიტრალური პოლიტიკის გატარებისა, შენიღბულად სამურყნო საქმიანობასაც ეწევა თურმე. ეს კიდევ არაფერი: უნდა შეიქმნას ფარმაცევტული ინსპექცია, რომელიც, ბუნებრივია, უნდა ეწეოდეს სამურყნო საშუალებების ხარისხზე კონტროლს, მაგრამ კანონის ავტორებს ეს ეცოტავენ და იგი საგადასახლო ინსპექციის, კონტროლის პალატისა და ლამის ყოველ „ობიექტ“ ფუნქციებით აღჭურვილ თემს ყველაზე მთავარი მაინც სხვა არის. ესაა ე.წ. დამატება, რომელიც კანონს თან ერთვის და რომლის ნამდვილი დანიშნულება გულწრფელად წამოსვლა პარლამენტში იმ პირობებს, რომელმაც კანონპროექტი წარუდგინა დეპუტატებს; დეპუტატთა ერთი ნაწილის მოთხოვნაზე, ამოდებული ყოფილიყო კანონპროექტიდან დამატება, მან უპასუხა, რომ კანონი ამ დამატებისთვის იწინებოდა და მის გარეშე რა აზრი აქვს მის მიღებას.

გარდა ფართობით კონკურენტების ჩამოცილებისა, არც სხვა გარემოება დაფიქვითა და დანართში თეთრზე შავით წერია, რომ „პირველ და მეორე ჯგუფის ავთიტიტის გასნისას დაცული უნდა იყოს ტერაიტროლი პრინციპი - დამატება არანააკლებ 500 მეტრის, ხოლო მესამე ჯგუფის შემთხვევაში - 250 მეტრი“. ე.ი. თუკი მე მოვასწარი, ჩემს ახლომახლო კონკურენტის ჭკაჭკაზე არ უნდა იყოს არასოდეს...

ეს დამატება კი სხვა არაფერია, თუ არა მონოპოლიის დაწესება შემოტანასა და რეალიზაციაზე შეძლებული, გავლენიანი, ყოფილი სახელმწიფო ფარმაცევტულ სექტორის უკვე დაპარტოვებული პირების მიერ. ვერძოდ, საქართველოში ვერაგინ შემოიტანს სამურყნო საშუალებას, თუ არ შექმნის ე.წ. „ფარმაცევტულ ბაზარს“, რომლის ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 400 კვ. მეტრისა (ანუ ერთი პატარა ქარხნის სიდიდის). რაც შეეხება წამლების საცალო რეალიზაციას, იგი უნდა მოხდეს ავთიტიტის მეშვეობით. ავთიტიტი კი არ შეიძლება იწოდებოდეს ისეთი ფორმა, რომელსაც არა აქვს 40 კვ. მეტრი. თუმცა ეს ვერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ასეთ ავთიტიტ მხოლოდ ურეცეპტოდ გასაცემი წამლების რეალიზაცია შეუძლია, რაც

ამ კანონის ავტორები პარლამენტის ტრიბუნლიდან ხშირად იშველიებდნენ „უცხოურ გამოცდილებას“. არადა, ჩვენც ვართ, ბატონებო, უცხოეთში ნამყოფი. ნამდვილად არ შეგვხვედრია არსად უზარმაზარი ავთიტიტი, პირიქით. ყველა პატარა, ავთიტიტი ფართობზე განლაგებული იქ მოგვარია წამლის შენახვის პირობების დაცვა და არა ფართობი. თუმცა ეს რა გასაკვირია, ეს ხომ ხდება იქ ჩვენთან კი ყველაფერი ჩვენებურად უნდა იყოს. საქარო ვილაცის გიბის ინტერესების დაცვა. ინებეთ კანონი! უკვე გაქვთ კანონიერი უფლება იცხოვროთ უკანონო!

ბ.ტალახაძე

# რამდენიმე გასროლა კოდაში

## ანუ როგორ მოკლას ჯუგუარ პატიარების გააილია პატიარული

...წყობაზე დამიხსნებულმა ტყვიამ  
ოთხ ადამიანს წაართვა სიცოცხლე

**ბაზაში** „საქართველო“ რუბრიკაში „ვინ ვინ იყო?“ 19 მწვეფე კითხვას უყაას სხვადასხვა დროს მღდალ ხელმძღვანელ ეშლონში მყოფ პირებს. ასეთვე დროში „19 მწვეფე კითხვა ბატონ ჯუგუარ პატარაშვილს“ დაიბეჭდა სხენებულ გაზეთში. კითხვებს მეც გარკვეული ცნობის მოყვარეობით მოვეცილე და თვალს ვადევნებ პასუხს. გაზეთის ინტერვიუერი კომუნისტური სისტემის მანკირებაში ღრმად დარწმუნებული, რომელმაც მეჭრთამეობის გარდა ბევრ დანაშაულს დაულო სათავე, სთხოვს რესპონდენტს უპასუხოს კითხვებზე, მართალია, რომ მისი მამაც, როგორც პატოსანი მუსკი, ბოროტების იმპეროიე ნასაზღაოებ სისტემის ემსგერპლა!

უმთავრესად სხვათა უფუტურობისთვის დასჭილ კაცს გინდა კვლავ განუთხლოთ მის სულს და შინური უღრმესი ჭრილობა. ამას ნუ მოვთხოვთ ბატონ ჯუგუარს, ნუ ჩავაყენებთ უზერხულობაში.

საკუთარ თავთან გარკვეული ჭილილის შემდეგ, თავს უფლება მივეცი, მოკლედ მოუთხრო მკითხველს სოფელ კოდაში 1956 წელს დატრიალებული საშინელი ამბავი, რომელმაც მრავალ აკაბს, საზოგადოების ჩანსად ნაწილის საშინელი განცდა და ტანჯვა მოუტანა. ბოლიშვი ვუხდი ბატონ ჯუგუარს, მის ახლობლებს, ჭკატაშვილის მამის, ბატონ ილიას ყველა ახლობელს თუნდაც იმის გამოც, რომ ჭეშმით მოთხრობილი ამბავი მათთან შეთანხმების გარეშე ქვეყდება. ჩემს მოწოდებას ამავე გაზეთის მიზნითაც ვამართლებ, ჩვენი სურვილია, რომ ისტორიას სინამდვილე შემოვეუწხოთ...“

სინამდვილე კი ასეთია...  
— უცნაურია წავი, სისხლიან ტრა-

გაგრძელება მე-4 გვ.

**გადაკეტილია ზუგდიდ-ცაიშის ცენტრალური ტრასა**

25 დეკემბერს, 13.00 საათზე, აუზსაღმართად 600-მდე დევენილმა გადაკეტა ზუგდიდ-ცაიშის ცენტრალური ტრასა, აქციის მონაწილეები მოთხოვნა კუთვნილი ფულადი შემწავის მიღებას, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოს თვიდან არ ვადაცემდა. აქციის მონაწილეობა განცხადებით, ვიდრე ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში განსახლებული დტოლოვილები არ მიიღებენ ფულად დახმარებას, აქცია არ შეწყდება.

აქციის ორგანიზატორებს შეხვედნენ გაღის რაიონის გამგებელი მურმან ტყედი, ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოადგილე ვახტანგ შონია და სხვა ოფიციალური პირები. (იხერია)

**სიტუაცია აფხაზეთის ტერიტორიაში**

მომხრობარ წლის ნოემბერ-დეკემბერში აფხაზეთმა მთლიანად ამოხოცეს რამდენიმე ოჯახი, მძეფლად აიყვანეს 200-მდე კაცი. ხშირ-

ია ადამიანები ვაჭრობის ფაქტებით. ამ დღეებში, ნაღმის აფეთქების მსხვერპლი გახდა ახლადნამუშობარები ქალი, ტრაქტორისტი, მიმდევ დაშავდა 6 დღის ჩვილი და რამდენიმე კაცი. (იხერია)

**ქიზური ხილვა დაგამილია ტყვეთა გაცვლა**

**ტყვეთა გაცვლა**

26 დეკემბერს, ქეგურის ხიდზე, ქართულ-აფხაურ მხარეებს შორის დაგვემილია ტყვეთა გაცვლა. წინასწარი მოლაპარაკების შედეგად 1 აფხაზ ტყვეში 5 ქართველი ტყვე გაცივდება. (იხერია)





სკოლაში შესასწავლი ქართული მწერლები



# გალაკციონ ცაშიძე შაშაშაშაშა

## ნოდარ გრიგლაშვილი

გაგრძელება დასაწ. ინ. „საქართველო“  
№68,69,70

### „ლორჯა ცხენები“

ადამიანის ყოფნა (ყოფიერება) ორგვარ არსებობაში გამოიხატება: უმადყოფაში და უკამობაში, ანუ წუთისოფელში და მარადიულ სოფელში. ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, ადამიანის წუთისოფელში ცხოვრება უმცირესი მონაკვეთია იმ დიდი სიციცხლისა, რომლის ნაწილსაც აქ, სააქაოში, მზისქვეშეთში ატარებს იგი. მართალია, წუთისოფელი ტანჯვითაა აღსავსე, მართალია, ადამიანი განაკაცული მაცხოვარებით გოლგოთის გზას გადის, მაგრამ თუ ეს გზა ძე ღვთისა და მიბაძვით განვლილ, იქ, მარადიულ სოფელში სასუფეველს დაიმკვიდრებს და სამარადისო ნეტარებას ეზიარება. ასე ფიქრობს მორწმუნე და ეს მისი გაუზარავე სულის ბედნიერებაა.

მაგრამ, როდესაც რწმენას იჭენეული გონება ამოწმებს, ადამიანი ხშირად ემსგავსება გემბანზე მოქანავე ალბატროსს, რომელსაც საყრდენი არ გააჩნია.

„ლორჯა ცხენები“ სწორედ ასეთი მოქანავე სასოწარკვეთილის სულის კივილია, ამოუბის მწარე განცდით ნასაზრდოები:

„როგორც ნისლის ნამქერი ჩამავალ  
მზით ნაფერი,  
ელვარებდა ნაპირი სამუდამო  
მხარეში!  
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე  
ვერაფერი,  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების  
გარეშე.“

მომდევნო სტროფიდან ირკვევა, რომ „სამუდამო მხარე“ ის „აღქმული ქვეყანაა“, რომლის არსებობის რწმენა, როგორც წესი, ადამიანს იმედით აღავსებს და სიკვდილის საშინელებას აქარწყლებს, რადგან სიკვდილი საწყისია გარდაცვალების ანუ სხვა სიციცხლის დასაწყისისა. მაგრამ „ლორჯა ცხენების“ მიხედვით, ეს ყველაფერი ილუზია და სამუდამო მხარის ხატად პოეტს წარმოდგენილი აქვს სიცივე, მიუსაფრობა და მდუმარება, სადაც მხოლოდ მწუხარება სუფევს:

„მდუმარების გარეშე და სიცივის  
თარეშში,  
სამუდამო მხარეში მხოლოდ  
სიმწუხარე!  
ცეცხლი არ კრთის თვალბეში,  
წვეხარ ცივ სამარეში,  
წვეხარ ცივ სამარეში და არც  
სულის უხარია.“

ფრაზებით „ცეცხლი არ კრთის თვალბეში“, „და არც სულის უხარია“ ძალაუნებურად პროეცირება „იქიდან“ „აქეთ“ ხდება. რაკი სამუდამო მხარეში მხოლოდ ცივი სამარეა - მდუმარებასა და სიმწუხარეში შთენილი, უნდა ვიფიქროთ, რომ სააქაო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დროებითი მხარე“ მიაჩნია პოეტს ადამიანის ყოფიერების ნამდვილ საბრძანსად. მაგრამ ლექსის კომპოზიციური სტრუქტურა სათქმელის მოულოდნელობაზეა გათვლილი, პოეტი, „იქიდან“ „აქეთ“ გვაბრუნებს და ადამიანის უმადყოფობის პერიოდსაც ბნელ ფერებში ხატავს:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი  
ტყეებით  
უსულდმულო დღეები რბიან,  
მიიჩქარიან!  
სიზმარიან ჩვენებით - ჩემი  
ლორჯა ცხენებით  
ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ  
არიან.“

ასე რომ, ეს სოფელიც უსულდმულო დღეების წყებაა, სადაც „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“ იღანდება. აქედან გამოდინარე, უსულდმულო დღეებით მოწყენილ სულს სხვა სიციცხლე, სხვა ცხოვრება სწყურია. ამ სურვილის აღსრულება კი იმ ნანატრი „სამუდამო მხარის“ ილუზიურობის გამო შეუძლებელი ყოფილა. ამის შეგნება ათქმევენებს პოეტს ნერვიულად „არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“.

დავუბრუნდეთ სიტყვას „შენაპირი“, რომელიც წინა სტრიქონის შიდა რითმას „ნაპირს“ ერთმება:

„ელვარებდა ნაპირი სამუდამო  
მხარეში  
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე  
ვერაფერი,  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების  
გარეშე.“

თუ იმ გარემოებას მიაქცევთ ყურადღებას, რომ „შენაპირს“ „ნაპირის“ ლექსიკურ მნიშვნელობასთან არაფერი საერთო არა აქვს, რომ შენაპირი გულისხმობს შეპირებულს, წინასწარ აღთქმულს, მაშინ ამ ლექსში ყველაფერი ადვილად გასაკვები გახდება. „ლორჯა ცხენები“, გალაკტიონის ერთ-ერთ სიმბოლისტურ ნაწარმოებად მიჩნეული, მკაფიოდ გამოკვეთილი სათქმელის მქონე რეალისტურ ლექსად აღიქმება.

პოეტი თავისი ყოფის ტრაგიზმს ხედავს იმაში, რომ სააქაო, როგორც ვთქვამ, უსულდმულო დღეების წყებად მიაჩნია, სამუდამო მხარეში კი ვერ ნახა შენაპირები, ანუ დაემსგავრა ის მრწამსი მარადიული ცხოვრების „შესახებ“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. აი, სწორედ ამ აზრით „ლორჯა ცხენები“ ადამიანის ყოფიერების ტრაგიზმს გამოხატავს, რადგან მარადიული ყოფიერება, თურმე, არ არსებულა, წუთიერი კი თავისთავად არის ტრაგედია, მით უფრო, თუ წუთიერთან ერთად იგი უსულდმულოცაა...

ლექსის ასეთი ფინალით გალაკტიონი „ეკლესიასტეს“ უკიდურესად პესიმისტური დასკვნის (ამოება ამოებათა და ყოველივე ამო) მოკანანახე მანის მიმცემი, მიმდევარი) ჩანს.

ვნახოთ, ასეა თუ არა ეს. დაუკვირდეთ ლექსის სათაურს. რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს „ლორჯა ცხენები“? რატომ მჭიდრობდა ტექსტში ესოდენ ხშირად იგი? რას ნიშნავს ლორჯა ცხენები - უბრალო პოეტური სინტაგმაა იგი თუ რაიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს? თუ ამ საკითხს გვერდს აუვკლით, ლექსის შინაარსობრივი ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება.

კიდევ ერთხელ მინდა, თქვენი ყურადღება მივაქციო ნაწარმოების არქიტექტონიკას, მაგრამ მანამდე პიზნოგრაფიდან ერთ ლექსს გავახსენებ:

„ცხოვრება ესე წარვალს და  
განიღვეის,

შვენიერება და დიდება დაჯანების,  
ხოლო სიმდიდრე დაღპების და  
წარწყმდების.  
რაისთვის ცუდად ვმალდოით,  
ოდეს ყოველნი  
მოკვდაენი ვართ და მიწად  
მიქცევაენნი?“

საწუთისოფლო ცხოვრებისადმი ამდაგვარი განაჩენის შემდეგ პიზნოგრაფი ასეთ სიუჟეტურ წიაღსვლას მიმართავს: „მოვედით, ძმანო, შთავიხედენთ საფლაგათა.“

შემდეგ ისევ სააქაოსკენ ახდენს ჩვენი მხერის პროეცირებას:

სადა არს შური, საოცრება და  
ხლომა,  
სადა არს ძვირის - ხსენება და  
ზვაობა  
და ხორცთა გულის-თქმანი.“

და ბოლოს, კვლავ სასაფლაოსაკენ გადაიტანს ავტორი ჩვენს ყურადღებას: „აჰა, ესერა მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.

ახლა ორიოდე სიტყვით ვთქვათ, რა წერია ამ ლექსში? წერია, რომ წარმავალია, უდღეურია სააქაო სიციცხლე. მშვენიერება, დიდება თუ ამპარტავენება, საზოგადოდ, ადამიანთა ვნებები არარაობაა, რადგან ერთ დღეს ყველაფერი წარხდება. ხოლო სიკვდილის შემდეგ „მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.

ლექსის ასეთმა ფინალმა უნდა გვაფიქრებინოს, რომ იგი ურწმუნო ადამიანის დაწერილია. სააქაო ცრუ ვნებათა ჭიდილის ასპარეზად მიაჩნია და არც საქაო სწამს, რადგან ადამიანისაგან, ნაწარმოების მიხედვით, მიწა, თიხა და ნაცარი რჩება მხოლოდ. არადა, პიზნოგრაფს, ეს ცნება კი, უკვე მორწმუნეს გულისხმობს, შეუძლებელია ასეთი რამ ფიქრშიაც კი გაეკვლო. შეუძლებელია დაესკვნა, რომ ადამიანისაგან სიკვდილის შემდეგ აღარაფერი რჩება.

საქმე ის არის, რომ ლექსის სათაურად ჰქვია „გალობანი სულისანი“. სათაური კი ამ შემთხვევაში უმთავრესი აკორდია. ავტორის პოზიცია მისი სათქმელი სწორედ სათაურით იხსენება. სათაურზე ყურადღების გადატანა გვათქმევენს, რომ პიზნოგრაფი ხორციელი ცხოვრების წარმავლობაზე წერს. ერთადერთი, რაც წარუვალია ადამიანში, ეს არის სული, კვდება და მიწად იქცევა ხორცი. ჰქნება ხორციელი სიღამაზე დაეძაბა და წარწყმდება ყველაფერი, რაც ხორციელ ვნებას უკავშირდება, მხოლოდ სულია მარადიული. აი, ეს არის ამ ლექსის სათქმელი, ამიტომ ჰქვია მას „გალობანი სულისანი“.

ეს ვრცელი ექსკურსი საჭიროდ ჩავთვალე, რათა უფრო მკაფიოდ წარმოვადგინოთ გალაკტიონის ლექსის „ლორჯა ცხენები“ სათაურის სიმბოლიკა. როგორც უძველესი პიზნოგრაფიული ტექსტის, ისე „ლორჯა ცხენების“ სათქმელიც სულ სხვაგვარად წარმოვადგინოდა, რომ არა სათაურის ჩართვა ლექსის არქიტექტონიკაში.

გალაკტიონის ფიქრით (საუბარია კონკრეტულ ლექსთან დაკავშირებით და არა საზოგადოდ), ერთადერთი, რაც მარადიულია, არის ლორჯა ცხენები.

„მხოლოდ ნისლის თარეშში,  
სამუდამო მხარეში,  
ზევით თუ სამარეში წყევლით  
შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიანი,  
როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა - გრიალით  
ქრინ ლორჯა ცხენები“.   
ზემოთქმულიდან გამოდინარე, ერთი

რამ ფაქტია: ლექსის ლირიკული გმირი უსულდმულო წუთისოფელს ზურგს აქცევს, სამუდამო მხარეშიც ვერ ნახავერაფერი და ერთადერთი, რაზედაც მხერას აჩერებს და, რაც მარადიულია მისთვის - არის ლორჯა ცხენები.

რას უნდა გულისხმობდეს პოეტი ამ უცნაურ სინტაგმაში? არის აზრი, რომ გალაკტიონისათვის ლორჯა ცხენები ისაა, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის - მერანი (ბედისადმი დაუმორჩილებლობის სიმბოლო). არის აზრი, რომ ლორჯა ცხენები პოეტისათვის ხელოვნების, შემოქმედების სიმბოლოა (ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი უბადრუკია, მხოლოდ შემოქმედებაა უკვდავი).

ლორჯა ცხენები დროის დაუდევარი სროლის სიმბოლოდაც შეიძლება დავიგულოთ. უამის შეუჩერებელ დინებაში ყველაფერი იმსხვერვა და ნადგურდება. უსულდმულო დღეები, ანუ სიციცხლე ჩნდება და ქვესტყვდება. ერთადერთი, რაც მარადიულ მოძრაობაშია, რაც არ იბადება და არც კვდება, არის დრო. დროის ვიზუალურ ხატად კი პოეტი ქმნის მეტაფორას - ლორჯა ცხენები.

„ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრინ ლორჯა ცხენები“.

თუ დანამდვილებით რისი სიმბოლოა ლორჯა ცხენები - ბედისადმი დაუმორჩილებლობისა, შემოქმედების მარადიულობის თუ დრო-უამისა, ამაზე თქვენ თვითონ შეიძლება დაფიქრდეთ. იქნებ ახლებური ახსნაც შემოგვთავაზოთ. ხშირად ესა თუ ის მეტაფორა სხვადასხვაგვარად გააზრების ობიექტურ საფუძველსაც იძლევა.

ჩემი აზრით კი ლორჯა ცხენები სწორედ დროის მარადიულობის სიმბოლო უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით (იდურობის თვალსაზრისით) გალაკტიონის „ლორჯა ცხენებმა“ შეიძლება გავგახსენოს ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“. „გოგჩაშიც“ სამუდამო მდუმარება და სააქაო ცხოვრების წარმავლობა ნაჩვენები დროის მარადიულობის ფონზე.

„მაგრამ რა?! დროსა მსვრეელის  
ცვლით,

ყოვლთა წარწყმედით,  
ციურთა მჯობი მშვენებლობაც  
სხვათებრ მოსოფლილა“.

არის ერთი ხალხური ლექსიც, სადაც გენიალურად არის გაცხადებული ეკლესიასტეს სიბრძნე დროის დაუსაბამობისა და მარად მედინობის შესახებ:

„უამი მივალის-მოვალის  
მუცოს თორღვანის კარზედა“.

სწორედ ეკლესიასტესეული მარადიულობის ფორმულით უნდა იყოს აღბეჭდილი „ლორჯა ცხენების“ ლირიკული გმირის სულიერი განწყობაც.

კერძოდ, ეკლესიასტე აცხადებს: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუყანა უკუნისამდე ჰგვის“.

ამ წარმავალსა და მედინ სოფელში კი „ამოება ამოთა - თქუა ეკლესიასტე - ამოება ამოთა ყოველივე ამო“.

შეგნება იმისა, რომ თვით დრო უკუნისამდე უცვალებელია, ადამიანის შინაგანი ტრაგიზმის კომპენსაცია ვერ გახდება. პირიქით, ადამიანს კიდევ მეტი სევდით აღავსებს მარადიულობის ფონზე თავისი უმადყოფობის წამიერების შეგნება. ეს სევდა კი სხვა ლექსში ასე ლაკონურად აქვს გამოხატული პოეტს: „იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით“.

გაგრძელება იქნება





# ტიპი კვლავობა

# ატიტადისის

## კართული ენა და ლიტერატურა

### II ვარიანტი

გაგრძელება. დასაწ. იხ. საქართველო №70

19. რომელი პოეტის ფსევდონიმია „ელენე დარიანი“?

- ვალერიან გაფრინდაშვილის;
- ტიციან ტაბიძის;
- პაოლო იაშვილის;
- სანდრო ცირეკიძის;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

20. რომელ პერსონაჟს ახასიათებს დავით კლდიაშვილი შემდეგი სიტყვებით: „ის იყო, რომ იტყვიან, ეშმაკი კაცი, თავით ფეხამდე ფეხისტი, მხოლოდ პიროვნული ინტერესების მიმდევარი“?

- პორფირ ბიაშვილი;
- ბუგლარ ჯინჯარაძე;
- ომან ქამუშაძე;
- კირილე მიმინოშვილი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

21. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ არის ავტორი „ხოვანის მიწიანის“?

- ვაჟა ფშაველა;
- ვროლო რობაქიძე;
- კონსტანტინე გამსახურდია;
- ოთარ ჭილაძე;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

22. რომელი პოეტის მუზა ბეატრიკეა?

- ტორკვატო ტასოსი;
- პეტრარკასი;
- დანიტე ალივიერისი;
- ჯორჯ ბაირონისი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

23. რა არის ეპიგრამა?

- ფსევდო-დიონისე არ-ეპიგრამის ერთ-ერთი თეოლოგიური ნაშრომის სახელწოდება

2. საექლესიო ღვთისმსახურება;

3. საექლესიო დაპირისპირება მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის;

4. საღმრთო წერილის განმარტება;

5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

24. ვინ იყო პილატე პონტიელი?

- ოუდესის პროკურატორი;
- ოუდესის მეფე;
- მღვდელმთავარი;
- რომის იმპერატორი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

25. ვის ეკუთვნის სტროფი: „სჯობს ფერფილი მზეთა-მზეს მზისათვის თავი ვახელო, ნათლისა გახედე მოჯინი, რადგან თვალსა ვახელო, მის უკეთესი მოყვარე საღვთო, სადა ვახელო, მზე მიწყენს თუ მზის სანაცვლოდ თინათის ხელი ვახელო“?

- შოთა რუსთაველი;
- დავით გურამიშვილი;
- ვროლო ორბელიანი;
- აკაკი წერეთელი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

26. ვისი თანხლებით გამოცხადდა ჯუმათი ფინე მეფესთან?

- მოლარისი;
- ხელარგონისი;
- დარბაზთუხუცესისი;
- მესტუმრთუხუცესისი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

27. ტარიელის გარდა, ვის „დაუ-სახავს“ ვუფხი ნესტანის სახედ?

- ფატმანსი;
- ფრიდონსი;

3. ასმათსი;

4. თინათისი;

5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

28. ვინ არის ავტორი ციტატისა: „კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გვეყრდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმით მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არაფინ დაჯიკროს და გაუთანასწოროდეს მოწინავე ერებს“.

- ილია ჭავჭავაძე;
- აკაკი წერეთელი;
- ვაჟა-ფშაველა;
- ნიკოლოზ ბარათაშვილი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

29. რომელი ქართველი მოღვაწის მოკვლის გამო წერდა აკაკი წერეთელი: „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაახრებეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძვებდა, ცივი ხელები დააკრფინეს“?

- ილია ჭავჭავაძისი;
- ბიძინა ჩოლოყაშვილისი;
- დიმიტრი ყიფიანისი;
- დიმიტრი თავდადებულისი;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

30. რომელ წერილში გვაცნობს ვაჟა-ფშაველა თავისი პოემების „სტუ-მარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „აღუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა“ – შემოქმედებით ისტორიას?

- „კრიტიკა ბიზანტიზმისა“;
- „რამე-რუმე“;
- „ხემა წუთისოფელი“;
- „pro domo sua“;
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

### სატირა

შოთა ნიშნიანი

ნიშნიანი

# ეპიგრამები

### ქრისტე, ბარაბა და სხვაები

ბანდიტებს, ქურდებს ხელთ უპყრათ ცხოვრების კვერთხი... ჯვარს ვაცვით არა ავაზაკი, ჯვარს ვაცვით ღმერთი... თითონ უფალმაც ჯვარცმის შემდეგ იქ, სამოთხეში პირველყოვლისა ავაზაკი მოისვა გვერდით და რაღას ვერჩით ამ მეფეებს, ცოდვილთ თუ მართალთ, თითო-ოროლა ავაზაკი თუ უხით ტახტთან?!

### ხისთავა მუჯა

ხისთავა მეფემ ერთხელ უთხრა თავის ვეზირებს: – რად მინდა თავი, ჩემს ქვეყანას თუ არ შევეწირე. და მართლაც, მართლაც ბედისწერა ყრანტალებს ავი, მიდი-მოდიან ტალღები და ქვიშანი რჩება.

მართლაც გამოდგა მეფის თავი, ხის დიდი თავი კუბოს ფიცრებად... ყვარჯნებად... სამარის ჯვრებად...

### წერილთავე მუჯა

წერილთავე მეფეს, სიღუპისთვის და შიშის მითვისებას, ოქროს გვირგვინი ბრილიანტის თვლებით ცურვილი დაუცურდება იმ პაწია თავიდან მხრებზე და ყელ-კისერზე მოადგება საყელურივით. – ჰამ, ჰამ! (ქუჩაში მანქანა დაღები ყვეფენ). მე კი საყელოს ჩემს ხილვაში უუსწორებ მეფეს.

### პროვინცია

გამარჯვებულ კომუნალს დიდი ზარზემით შეხვდა ლონდონი – ლორდ კომუნალს, შეხვით, როგორ ხვდება ხალხი ბელადებს: ზოგი ქვემოდან გამორბის და ზოგი ზემოდან. – სერ, მართალს ბრძანებთ... მაგრამ ეგ ბრბო ზღვად მოსკვებოდა ზემის ნაცვლად რომ აცაყედეთ საზრჩობელაზე!

\*\*\*

ცუღს არას ვამბობ მაგაზე, ბებრის მეუღლე მეგიზე, ქმარს აბანოში ავზანის, შინ კი იბარებს შექისეს.

### ფულის აპოლოგია

კოცონზე აყვანილმა ჯორდანო ბრუნომ როცა დაინახა, როგორ გამოვარდა ბრბოდან დედაბერი და ცეცხლს შეშის ნაკერი შეუკრია, წამოიძახა: „ო, წმიდა გულურგვილობა!“ ბრბომ ამასწინათ ღრიალით და განქიქებით ინკვიზიციის დიდ კოცონზე დასწვა წიგნები, სირცხვილისაგან ცაც ვაწითლდა და დედაბერიც და ფერფლი დარჩა დიდების და წიგნების შარყად. მავანმა მითხრა: „თქვენი წიგნი კი არ დაიწვა, უბრალოდ ერთი წამოდუღდა და... მოიხარშა.“

### 1995 29 აპრილი

ო, წინამძღოლო, კიდევ ერთხელ მოგტყუებს მხარი... და მაინც, მაინც სულ ბარიერთან დგებთ. თქვენთან მორკინალ არათუ ხარებს თითონ ეშმაკსაც არ შერჩენია რქები. მე, როგორც ძალი პატრონისაგან ნაცემი, ქვეყნის წახდენას მწარე ყმულით ვევიცი: იმ ეშმაკს რქებით (ან მოვურცხვლილი ყანწებით) ვანტანურს სვამენ თქვენი მტრები და ყმები!!

### შავტიმურად შედგომოდ დასრულდა ქართული აფხაზური მოლაპარაკებები

საავტენტოს კორესპონდენტს „ზუგდიდის გამგებებიდან აცნობეს, რომ ქვალში უშედგოდ დასრულდა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი. მხარეებმა ვერ მოილაპარაკეს ლტოლვილთა დაბრუნების შეკითხვებზე, აფხაზური მხარე, მტკიცებით დაბრუნების სანაცვლოდ მოითხოვდა ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, ხოლო თავის მხრივ არანორმალს არ იძლეოდა დაბრუნებასთან დაკავშირებით და კვლავინდებურად აცხადებდა, რომ მათ აფხაზური პოლიცია დაცვადა, გარდა ამისა, აფხაზური მხარე არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ ლტოლვილები, გა-

ლის გარდა, აფხაზეთის დანარჩენ რაიონებშიც დაბრუნდებიან

თუმცა, მოლაპარაკებებზე, აფხაზურმა მხარემ სიტყვიერი დასტური განაცხადა ცალკეული სოფლების მიხედვით გადის რაიონში დევნილი მოსახლეობის დაბრუნებაზე, იმ პოლიციულთა დაბრუნებაზეც, რომლებიც არ იბრძოდნენ აფხაზთა წინააღმდეგ, გადის რაიონის ადმინისტრაციული კორპუსის შერეული პრინციპით დაკომპლექტებაზე (ყოველივე, აფხაზური მხარის მოთხოვნით, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის შემდეგ).

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები 10-15 დღის შემდეგ განახლდება. (იბერია)

### არქივანდრიობი რაფაელი

# „იელოვას მონაქვების“ სექტის შესახებ

(კითხვა-პიკარანი)

გაგრძელება. დასაწ. იხ. საქართველო №68

შეკითხვა 9. რას წარმოადგენს მოკლედ გადმოცემული იელოვლების სწავლება?

პასუხი იელოვლები უარყოფენ წმსაქმას, დემონის სახელი არის „იელოვა“. სხვა საღმრთო სახელები გამოირიცხება მათი აზრით, ქრისტე დემონის ქნილებაა, თუმცა უპირველესი, რადაც ანგელოზზე უფრო მაღლა მდებარე, ძე დემონისა არა ბუნებით, არამედ რჩეულობის მიხედვით (ამთ იელოვლებმა არიზის წვდებებს ჰგავს). სული წმინდა მხოლოდ ღმრთაებრივი ძადაა (ეს კი რადაც მაკედონოსის წვალების მსგავსია, ამ წვალებას დუხოროობასაც უწოდებენ). იელოვლები ამბობენ, რომ ქრისტესთან თათბირის შემდეგ დემონმა შექმნა სამყარო. როდესაც ადამიანები ცოდვით დაექნენ, ქრისტემ დროებით შეიმოსა კაცობრივი სუული მისმა ჯვარცმამ მხოლოდ ადამის ცოდა გამოისყიდა – ადამიანების პირადი ცოდვები გოლოგოთის მსხვერპლით გამოისყიდვას არ ექვემდებარებიან ქრისტეხორცილ არ აღმდგარა, მისი სხეული ან პაერში გადნა, ან მუმიანსავით შენახული დარჩა, შესაბამისად, ხორცილი ამადლეობაც უარყოფილია. ქრისტეს მეორედ

მოსვლა თითქოს უკვე უხილავად მოხდა 1914 წელს. მაგრამ მსოფლიო ისტორიის დასასრულია არ-მაგედონი – ხალხების ბრძოლა, სადაც იელოვა სძლევის სატანას და იელოვლების ყველა მოწინააღმდეგეს ამას მოსდევს მიცვალებულთა აღდგომა, როგორც ადამიანების ხელახალი შექმნა, რომელთაგან 144 ათასი მართალი ხეცაში იცხოვრებს, ხოლო იელოვლები და მათი მომხრენი – მიწაზე, სადაც ყოველგვარი სიკეთით დატკბებიან ისეთ ცნობებს, როგორცაა სულის უკმადავება, სამოთხე და ჯოჯოხეთი, იელოვლები უარყოფენ მათი აზრით, საუკუნო ცხოვრება დედამიწაზე განხორციელებდა და იგი მშველობიან ფერმეობად, სახლების შექმნად და ბავშვების დაბადებად წარმოუდგენიათ.

შეკითხვა 10. რა არის იელოვება მოძღვრების იდეა?

პასუხი არმაგედონის მოლოდინი არმაგედონი არის მსოფლიო საყისო, რომლის დროსაც კაცობრიობა, იელოვლებით გარდა, მთლიანად განადგურდება.

შეკითხვა 11. რა არის ეს არ-მაგედონი, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ იელოვლები მქადაგებელნი?

პასუხი იელოვება სწავლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი

უჭირავს ესქატოლოგიური საკითხებს. ესქატოლოგია არის სწავლება იმის შესახებ, რაც მსოფლიო ისტორიის დასასრულს მოხდება. იელოვლებს მიაჩნიათ, რომ ხალხების დიდ ბრძოლაში, რომელსაც ისინი „არმაგედონს“ უწოდებენ, განადგურდება მთელი კაცობრიობა, „იელოვას მოწმეების საზოგადოების“ წევრთა გარდა. სიტყვა „არ-მაგედონი“ ბიბლიაში ერთადერთხელ გვხვდება: „აპოკალიფსის“ მე-16 თავის მე-16 მუხლში – და ნიშნავს არა ბრძოლას, არამედ ადგენს ადამსავლეთ პალესტინაში სადაც კლია წინასწარმეტყველების გამოქვამულია. ეს ადგილი იელოვლებს სამწუხარო ამბავს ახსენებდა: მართალი მეფე იოსია, რომელიც ალაღინა იუდეაში დემონის თაყვისისკენ და რომელიც მთელ ხალხს უყვარდა, აქ გადაეღობა ეგვიპტელთა და შქარს, ბაბილონის დასაპყრობად მმართველ (ბაბილონი იუდეის მოკავშირე იყო) და გმირულად დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში. იელოვლებს იუდეველთათვის მტერი, ისევე, როგორც შემდგომში – იერუსალიმის „გოდების კედელი“, მათი ისტორიული ტრავმების სიმბოლო იყო. თითონ „აპოკალიფსის“ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თითქოს არმაგედონის დროს კაცობრიობა უნდა განადგურდეს – ეს უკვე ფანტაზიის ნაყოფია. ზოგიერთი იელოვლები მწერიანი ცდილობს არმაგედონის მსოფლიო ატომურ ომად წარმოადგინოს, რომელშიც „იელოვას მოწმეების“ საზოგადოების წევრები არათუ ცოცხლები, არამედ რადიაციისაგან უვნებელნიც კი დარჩებიან

გაგრძელება იქნება

# მარლონ ბრანდოს ოჯახის ტრაგედია

მის არ ახსოვს ფილმი „ნათლიამა“, სადაც მთავარ როლს პოლიუელის ვარსკვლავი მარლონ ბრანდო თამაშობს. უამრავი ჭორ-მართალი უკავშირდება მის სახელს, მაგრამ ყველაზე სკანდალური მაინც მისი ოჯახის ტრაგედიაა.

ამ რამდენიმე ხნის წინ კარგი ყოფილი კინოსტარის ციხიდან გაათავისუფლეს კრისტიან ბრანდო, მარლონ ბრანდოს ვაჟი, რომელსაც ათი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს კრისტიან ბრანდომ მოკლა თავისი ნახევარ-ძმის, შეენის საქმრო. თუ რატომ, ეს დღესაც უცნობია, თუმცა, სასამართლოზე მარლონ ბრანდომ და მისმა ნაშვირმა ერთხმად განაცხადეს, რომ შეენმა შესჩივლა მძას, რომ საქმრო მას ცუდად ექცეოდა. ამიტომ ცხელ გულზე კრისტიანმა მოკლა დის საქმრო და

დროულად შეენ ბრანდოს განცხადებით კი სხვა რამ დასტურდებოდა. „მამაჩემი ეჭვიანობდა, ოღონდ მე როგორც მამა, ისე არ მიყურებდა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც ოღონდ მიყურებდა და მასაჟს მიკეთებდა“. ამ განცხადებამ არანაირი ცვლილება არ შეიტანა სასამართლო გადაწყვეტილებაში. მარლონ ბრანდომ ქალიშვილი შეურაცხადად გამოაცხადა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნა. ცოტა ხანში შეენ ბრანდოს შეეძინა ვაჟი. ავიხსენი ამბობდნენ, რომ ოღონდ მას საკუთარი მამისაგან, მარლონ ბრან-

დოსაგან ჰყავდა ცოტა ხნის შემდეგ შეენ ბრანდო ჩამომხრჩვალნი იპოვნეს და საიდუმლოდ საიდუმლოდ დარჩა კრისტიან ბრანდო კი ციხიდან გამოსვლის შემდეგ დედის გვარზე გადასვლას და უნივერსიტეტში სწავლას აპირებს. დასცადდება თუ არა მას ეს, არავინ იცის, რადგან დაგ გროდლეს მამამ მას სიკვდილის განაჩენი დიდი ხანია გამოუტანა.



# ფედერიკო ფელინის ცხოვრების მეორე მხარე

ამ დღი ადამიანის ცხოვრებაში უამრავი ჯალი ფიქვია: ელვანტური, ვულგარული, კეთილშობილი და ლამაზი. ითვლება, რომ ფედერიკო ფელინის ერთ-ერთი მუხა „პატარა ჯელსომინა“ - ჯულიეტა მანინა იყო, მაგრამ დიდი რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ 36 წლის მანინა მას უსაზღვროდ დიდი გრძობა აკავშირებდა. მანინა, რომელსაც სახელად ანა ჯოვანინი ერქვა, იგი ახლა 79 წლისაა. ამ ქალბატონის გარეგნობაში დღესაც იგრძობა იმ სილ-

ამაზის ძალი, რომელმაც დაატყვევო დიდი მესტროს გული. - დღეს ამ საიდუმლოს გამხელა უკვე აღარაფერს დღეობს ფედერიკოს, რადგან იგი სულ სხვა სამყაროს ეკუთვნის, - ამბობს ანა. მემკვიდრეობის მიღება ხომ არ სურს მას? რა სისულელეა, - იღივება იგი, - მე უბრალოდ მსურს, რომ ქვეყანაში იცოდეს, რას წარმოადგენდა ფედერიკოსთვის. „მოგონებები განმავლობენ იმ ბედნიერების შერჩევებს, რაც მე ფედერიკოსთან ვინიცაა“, - მოწვევით ასძვინს იგი.

როდესაც ფედერიკოს ხედავდა. ანამ გაწირა ჯულიეტის მისთვის, კარგად, შეიძლება კი და ჩაიკეტა სახლში. მას არასოდეს უცდია, ოფიციალურად გამხდარიყო ფელინის ცოლი. ორმოცდაათი წლის მანძილზე კი რეჟისორის ცოლად „პატარა ჯელსომინა“, ჯულიეტა მანინა ჰყავდა. მშვიდი, მორცხვი, უბრალოდ ჯალი. მან მშვენივრად უყვარდა ანა ჯოვანინის არსებობის შესახებ, მაგრამ არასოდეს დაეწვებოდა ის, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ფედერიკო მაინც დაბრუნდებოდა მათ სახლში რომის ქუჩაზე.

ფედერიკო კი 1957 წლის გაზაფხულს მზიან დღეს დაიწყო. პატარა კაფეს სიღრმეში მჯდარი ჯალი - ანა ჯოვანინი ფედერიკო ფელინის ოცნების განხორციელებად იქცა. ეს ჯალი 36 წლის მანძილზე მონებდა მას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი იქცა ლოლინის განსახიერებად. მისი ცხოვრება იმ უბედნიერესი რამდენიმე წუთის მოლოდინი იყო მხოლოდ.

ერთდღერთი, რის გამოც დარღობს ანა ჯოვანინი, ისაა, რომ მან ვერ მოახერხა დამშვიდობება კაცთან, რომლისთვისაც საუთარი ცხოვრება მოლოდინად აქცია. „სიჯარული ნამდვილად დირს მთელ სიცოცხლედ“, - ამბობს იგი და ერთიოდა ცოცხლობს, ფედერიკოსთან ისევ შეხვედრის იმედით.



## ახალი ლექსები

გამომცემლობა „საქართველომ“ დასტავა ხოზე ადვიშვილის ლექსების კრებული „სიყვარული გრძელდება“. კრებულს წამყვანი რედაქტორი მიშველადის წინასიტყვაობა, სადაც კეთილშობილთ:

„ღმერთო, ჩემი თავი მამოვინე“ - შექალაქდებს ერთ ლექსში მამაცვიტორს ამ წიგნის ლირიკული გმირი.

შემოქმედ კაცს თავის ქმნილების სრულყოფილების ილუზიას კრიტიკოსი ვერ მოგვრის, ჭეშმარიტ ხელოვანს შექმნილით ბოლომდე დაუკმაყოფილებლობის გრძობა მუდამ თანა სდევს ხოლმე, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ამ წიგნის ავტორმა ქართული ლექსის ზღაპრულ, უღამაზეს ფარდაზე თავის თავი უკვე კარგა ხანია იპოვა“.

ზორბი ადამიანი

სიყვარული ქმნილება

## კაიფპირები

1. ერიანი, მსგავსი „ტური“; 9. „ანას“ ტომის სპეციალთა; 15. „მელიტის“ საჭმელი კანფეტი; 16. „პოლში“ დასაღვი სასმელი; 17. წყალშიც და ხმელეთშიც ერთნაირად გამძლე „ბია“; 18. „ალის“ გადასახადი, რომელსაც „პოლიციელი“ ახდის (რუს.ყარ); 20. „ტო“ უბის სატარებელი მანქანა; 23. „იას“ საპაერო ფლოტი; 25. ამერიკელების „კლასიკა“; 27. „მეტრალა“ იტალიელი მსახიობი (რუს.კავშ); 29. „კრემით“ მიცვალებულის დაწვა; 30. „ტელეფონის მანიაკი“ მცენარე; 32. „ანას“ ეკლესიიდან განდევნა, დაწველა; 33. ინგლისში სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც ხვენი სასწრაფო დახმარების „ლიდრია“; 36. აზრი, ჩანაფიქრი; 39. რუსეთის „დატოვებული“ ქალაქი დონზე; 40. თეატრში, „რუსებისთვის“ განკუთვნილი სართული; 42. „ტროსიანი“ ზღვის დიდი ფრინველი; 43. „ლაზარეს“ პატარა საავადმყოფო.

შპეულა: 1. „ნელი“ პირუტყვი; 2. „პრესის“ ჩქარი ავტობუსი; 3. „ლიკას“ ანტიკური ხანის სწორკუთხა, უგუმბათო ტაძარი; 4. „ანას“ და „ვიას“ ლოგიკური მსგავსება; 6. მეცნიერი, რომელმაც მიმუნების შთამომავლებად გვაქცია; 7. თბ. „დინამოს“ „მხელეუბანი“ ფეხბურთელი; 8. „რიხიანი“ ფაშისტური იმპერია; 10. ჯალი, რომელიც ყველაზე კარგად აძინებს ბავშვს; 11. ქალაქი უზბეკეთში, რომელიც „კენტად“ უკრავს „ტაშს“; 12. მცენარე, რომელიც ვითომ „კაცია“; 13. თავის მოსაკვეთი მექანიკური ნაჯახი; 14. „უნივერსალური“ სასწავლებელი; 19. „ამბიანი“ ქალაქი ფლორიდაზე; 21. „ონში“ დამუხტული ნაწილაკი; 22. ორიგინალობას მოკლებული, „ნაღური ხუმრობა“; 24. „რატის მოწყობილობა“; 26. „უმი“ შემინული წყალსაცავი; 28. მუსლიმანების „მლიაა“; 31. „ნასტიას გვარის მეფეები, რომლებიც ტახტზე ცვლიან ერთმანეთს მემკვიდრეობის უფლებით; 32. სიყვარულის „მურიანი“ ღმერთი; 34. „იმპოტენტი“ ძალი (ფილმ.კავშ); 35. განთავის ქალმკობრი, რომელმაც გვაუწყა რევოლუციის დაწვევა რუსეთში; 37. ბუბუს „მამაკაცი“; 38. „ოურის“ მიერ დაკომპლექტებული შემფასებელთა გუფი; 41. ბრანდოლის ქალაქი, სადაც ზოგაერთ მონღოლს ცეკვა-თამაშის გამართვა უნდა.

აკაკი ცოტაძე

## კროსვორდი

თარაზულა: 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამეურნეო ცხოვრების რომელიმე დარგს; 4. სევიანი ლირიკული ლექსი; 6. მცირე ზომის ნიშნული; 8. ნაწილაკი, მიუთითებს იმაზე, რაც უნდა მოხდეს; 10. შორისდებული, გამოხატავს მწუხარებას, დანანებას; 11. გამოხატავს ვინმესთან შეხვედრით გამოწვეულ სიამოვნებას; 13. შორისდებული, იხმარება მიმართვისას; 14. მოღალატე; 15. კამფეტი ბავშვის ენაზე; 16. ნოტი მუსიკაში; 17. შორისდებული, რომელიც გამოხატავს წყენას; 19. ყვავილი; 20. შორისდებული, გამოხატავს გაკვირვებას; 23. ტექსტის ნაწილი ორ შეწყველ სტრიქონს შორის; 25. ნაადრევი მშობიარობა; 27. ცალკე გამოყოფილი ადგილი (საავადმყოფოში).

შპეულა: 1. მცენარე; 2. ოპტიკური ხელსაწყო ნაწილი; 3. იგივეა რაც იზაბელა; 4. ატმოსფერული მოვლენა; 5. ლოგიკური შინაარსი; 6. ხერხემლის შემადგენელი ცალკე ძვალი; 7. ფეხბურთის ფრინველი; 9. მცენარე; 10. უსწავლელი, უციცი, უმეცარი; 12. მხოლოდ ერთი რისამე მქონე; 13. ვრა, ხანა; 16. ერთგვაროვანი ნივთიერების მასა, ზოლად გაშლილი სხვა ნივთიერებათა შორის და მათგან განსხვავებული; 18. რუხი ფერის კრისტალური ნივთიერება; 19. პრინციპი, დებულება, რითაც ხელმძღვანელობენ თეორიულ მსჯელობაში; 217 დასაკლავად გასუქებული საქონელი; 22. იგივეა, რაც დეპეშა; 24. მოქალაქის პოლიტიკური უფლების განსაზღვრის ესა თუ ის სახეობა; 26. მოძრავი ქონება.

ფ.ჯიბლაძე

წინა კროსვორდის პასუხები

თარაზულა: 5. მესტი; 6. ვონჯი; 7. პოპო; 8. გრიფი; 10. ხორცხი; 12. გვარდია; 13. ჭიკარტი; 17. ჰორტი; 18. ჩიტოლია; 19. ეკაია; 20. შუბლი; 21. „ოხოხოია“; 24. შეიხი; 25. „ოროველა“; 26. ესენინი; 27. ფლატერი; 30. ლორჯო; 31. აქცია; 32. მიტუა; 33. ჯარჯი.

შპეულა: 1. მიტროპოლიტი; 2. პროთრომბინი; 37. ჰედოუ; 4. ევიფე; 9. სტატისტიკოსი; 11. ბერძენიშვილი; 14. ფონხუა; 15. ჭოროხი; 16. კინხი; 22. ხუდელთაჯღუნა; 23. ინსტრუქტაჟი; 28. ჟორია; 29. სინჯი.

მთავარი რედაქტორი  
**ნოდარ ბრიბალაშვილი**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, თაბისუფლავის მოედანი, კუპჩინის ძ. 5  
გაზეთის ინდექსი 66447  
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:  
რედაქტორი: 93-20-36,  
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444